განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა

## სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
23 .04.19

დასკვნის წარდგენის თარიღი

20.05.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საქართველოს ისტორია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ისტორიის დოქტორი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ავტორიზებული, აკრედიტებული (გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ – 2018 წლის 25 აპრილი, №58) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლევან ჯიქია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბექა კვაჭაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან შედგება. 60 კრედიტი განკუთვნილია საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. აქედან დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 30 კრედიტს, დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები – 9 კრედიტს, რომლის ფარგლებში შეთავაზებულია 24 კრედიტი (5 სასწავლო კურსი). გათვალისწინებული არჩევითობის პრინციპი. დანარჩენი 21 კრედიტი ნაწილდება პროფესორის ასისტენტობაზე (3 კრედიტი), სემინარზე (6 კრედიტი), სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (6 კრედიტი) და აკადემიურ წერაზე კვლევის მეთოდების კომპონენტებით (6 კრედიტი). სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული 120 კრედიტი. სწავლება იწყება მე-2 სემესტრიდან და მთავრდება მე-6 სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით.
პროგრამის სტრუქტურული ელემენტები, ზოგადი თუ მაპროფილერებელი კურსების ბადე და კვლევითი კომპონენტი ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან და დოქტორანტისთვის შესაბამისი კვლაფიკაციის და კომპეტენციების მისაღებად ადეკვატურ სასწავლო აკადემიურ პირობებს ქმნის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 23 აპრილს შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტში.
ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, ბოლო აკრედიტაციიდან (2018 წ. 25 აპრილი) დღემდე სადოქტორო პროგრამის პროგრესის მონტორინგი.
გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 10:00 საათზე დაიწყო სამუშაო შეხვედრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, სკოლის/ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენაში (B2 დონის გამოცდები ინგლისურში/გერმანულში/ფრანგულში, ან წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს დასახელებულ უცხო ენაში) და სპეციალობაში. სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის საქართველოს ისტორიაში ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის და დარგისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მიცემას განვითარებას. ზოგადად, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები შესაძლებელს ხდის დასახული მიზნების მიღწევას. შესაბამისად, როგორც წესი, კურდამთავრებულს შეუძლია როგორც დარგისთვის დამახასიათებელი ფართო და მრავალმხრივი საკვლევი პრობლემატიკის ანალიზი, ასევე ახალი საკითხების და თემატიკის იდენტიფიცირება.

- **რეკომენდაციები**

სემინარი 2-ს წინაპირობად განისაზღვროს სემინარი 1

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კურსის - *საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები. უძველესი დროიდან XIX ს. I ნახევრის ჩათვლით* სილაბუსი საჭიროებს გარკვეულ რედაქტირებას. 1. კურსის ფარგლებში დოკუმენტების მიმოხილვა იწყება მე-11 საკუნიდან. შესაბამისად, სასურველია კურსის დასახელება მოვიდეს საკითხებთან შესაბამისობაში და უძველესი დროის ნაცვლად მიეთითოს ის პერიოდი, რომელსაც კურსი რეალურად ფარავს. 2. კურსის ძირითად ლიტერატურდ განსაზღვრულია საქართველოს ისტორიის ნარკვევები, მაშინ როცა დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რიგი მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა. სწავლების საფეხურიდან გამომდინარე, რომელიც პროგრამის მონაწილის კვლევითი უნარის რეალიზაციაზე არის ორიენტირებული, სწორედ სამეცნიერო რესურსის ეს უკანასკნელი კატეგორია უნდა იყოს ძირითადი სამუშაო მასალა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნარკვევებს და მსგავს შემაჯამებელ გამოცემებს, ისინი სწორედ დამატებით რესურსებად უნდა განიხილებოდეს, რომელიც შეიძლება დოქტორანტ-მკვლევარს გარკვეული, ზოგადი საორიენტაციო მიზნებით გამოადგეს.
  - უმჯობესი იქნებოდა პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის არსებობდეს საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად გარკვეულ საკითხებზე აპელაციის და გასაჩივრების ფორმალური მექანიზმი.
  - სასურველია ცალკე, არჩევითი კურსის სახით, ისწავლებოდეს სამეცნიერო პროექტების შედგენის წესების და ტექნიკის პრაქტიკული კურსი. მსგავსი ტიპის უნარების განვითარება გაზრდიდა სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში დოქტორანტების წარმატებით მონაწილეობის შანსებს. ეს ყველაფერი კი დამატებით შეუწყობს ხელს მათი სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას.
  - სასურველია დოქტორნატები უფრო მეტად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. კერძოდ, პროგრამაში შეიძლება უფრო გამოკვეთილი იყოს ამ მიმართულებით (სემინარების წაყვანა და პროფესორის ასისტირების სხვა ფორმები) სტუდენტების დატვირთვის კომპონენტი.
  - სასურველია პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებისთვის განსაზღვრული იყოს შიდა გრანტების და/ან ამა თუ იმ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა.
  - სასურველია ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მოხდეს დამსაქმებელ ორგანიზაციათა რაოდენობის გაზრდა და დივერსიფიკაცია.
  - უმჯობესია, რომ დასაქმების სფეროს ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას სკოლა. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სკოლებში დასაქმება შესაძლებელია „მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი“ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ, ეს ჩანაწერი პროგრამაში უნდა დაკორექტირდეს.

- სასურველია დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებლები გაეცნონ პროგრამას, რათა მათი რჩევები სათანადოდ გაითვალისწინონ პროგრამის ხელმძღვანელებმა
- სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ბიუჯეტში სამეცნიერო კონფერენციებისა და მონოგრაფიების გამოცემის ხარჯების გაზრდაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები ( დაკვნის თარიღი: 18/04/2018) ამგვარად გამოიყურება:

- გაიზარდოს პროგრამაში სასწავლო დისციპლინების არჩევითობის ხარისხი.
- საგნის შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვროს საგნის დასახელება სასწავლო დისციპლინისა „სწავლების თანამედროვე მეთოდები“. სილაბუსში წარმოდგენილი კურსის შინაარსი მეტ წილად არ პასუხობს სათაურს. მიგვაჩნია, რომ კურსის სათაურში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილება, ან სათაური დარჩეს უცვლელი და კურსის შინაარსში მოხდეს მეტი აქცენტირება სწავლების თანამედროვე მეთოდებზე.
- გადამუშავდეს საგნის „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“ სილაბუსი და მოვიდეს შესაბამისობაში დოქტორანტურის საფეხურთან. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების პირობებში, კურსის შინაარსში მეტი აქცენტირება უნდა გაკეთდეს თვისობრივი კვლევის მეთოდების დეტალურ შესწავლაზე. ეს უნდა აისახოს სავალდებულო ლიტერატურაში და გაიწეროს კურსის შინაარსში.
- განახლდეს ძირითადი ლიტერატურა საგნის „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIX – XXI ს. დამდეგი ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ სილაბუსში.
- მისაღებ გამოცდაზე აპლიკანტს უნდა მოეთხოვოს ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის არანაკლებ B-2 დონეზე ცოდნა.
- სავალდებულო უნდა გახდეს საქართველოს ისტორიაში მისაღები გამოცდა. სავალდებულო უნდა გახდეს აპლიკანტისთვის სამოტივაციო წერილის წარმოდგენა (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით).
- გაერთიანდეს სასწავლო კურსები „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIII-XVIII საუკუნეები. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIX–XXI ს. დამდეგი ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ და მისი წინაპირობა გახდეს სასწავლო კურსი „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.
- შეიცვალოს შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების ტესტური მეთოდი თხზულების ტიპის გამოცდით. სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაინერგოს შეფასების განსხვავებული მეთოდები.
- პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს ინდივიდუალური საათების რაოდენობა, ანუ უშუალოდ სტუდენტებსა და პედაგოგებს, აკადემიურ პერსონალსა თუ ნაშრომის ხელმძღვანელებსშორის ინდივიდუალური მუშაობის საათების რაოდენობა, რომელსაც ისედაც ითვალისწინებს მათი სწავლების გრაფიკი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტმა სასურველია იზრუნოს დასაქმების ბაზრის დივერსიფიკაციაზე.

- დაჩქარდეს ელექტრონული ბაზის შექმნა
- მოხდეს სტუდენტების უფრო მეტი ინფორმირება დასაქმების და კარიერული ზრდის თვალსაზრისით.
- სასურველია გააქტიურება უფრო მეტი გაცვლითი პროგრამების ორგანიზებისათვის და უცხოელი ლექტორების მოწვევა და ჩართულობა, რაც გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.
- სასურველია ცალკეული პროფესორის მეტი აქტიურობა საზღვარგარეთ ნაშრომების პუბლიკაციებთან მიმართებით.
- სასურველი იქნება თუ უნივერსიტეტი სამომავლოდ ბიუჯეტში გაითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას.

ბოლო აკრედიტაციის (2018 წ. 25 აპრილი) შემდეგ საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები. ცვლილებები შეეხო როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებს. კერძოდ:

- პროგრამაში მიღების წინაპირობებში უცხო ენაში მისაღები გამოცდის ჩატარების კუთხით, წინა პროგრამაში შეთავაზებული 4 უცხო ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ამოღებულ იქნა რუსული ენა;
- პროგრამაში მიღების წინაპირობებში ასევე გასაუბრება სპეციალობაში შეიცვალა გამოცდით;
- გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რეკომენდაცია აპლიკანტის მიერ სამოტივაციო წე-რილის წარმოდგენის შესახებ (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით);
- სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გადამუშავდა *„სწავლების თანამედროვე მეთოდებისა“* და სასწავლო კურსის *„აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“* სილაბუსები და ისინი მაქსიმალურად მიესადაგა დოქტორანტურის დონეს.
- გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია სწავლების II სემესტრში გაწერილი 2 სასწავლო კურსის (*„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIII-XVIII საუკუნეები. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“* და *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIX-XXI ს. დამდეგი. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ )* ერთ საგნად გაერთიანების შესახებ, რომლის წინაპირობა იქნება I სემესტრში გავლილი საგანი: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.* ამასთან მოხდა ქრონოლოგიური ჩარჩოების კორექტირებაც – I სემესტრის საგნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი იქნება არა XIII ს. დამდეგი, არამედ XV ს. მიწურული, შესაბამისად II სემესტრში დაგეგმილი სასწავლო კურსის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარმა გადაიწია XVI ს. დამდეგზე. ანუ I სემესტრში დოქტორანტები გაივლიან სასწავლო კურსს: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XV საუკუნის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“,* II სემესტრში კი სასწავლო კურსს: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XVI- XXI საუკუნის დამდეგი. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“.*
- არჩევითი სასწავლო კურსები შეივსო 3 ახალი დისციპლინით:
  1. *„ანტიკური წერილობითი მემკვიდრეობა საქართველოს შესახებ“* (სსუ აფილირებული ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია)
  2. *„ქართველები აღმოსავლეთის ქვეყნების (ოსმალეთი, სპარსეთი) სამხედრო პოლირიკურ ასპარეზზე გვიან შუა საუკუნეებში“* (სსუ აფილირებული

ასოცირებული პროფესორი კახა კვაშილავა – სსუ საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული);

3. საქართველო და სამხრეთ კავკასიის მეზობელი სახელმწიფოები XX – XXI სს. დამდეგს. სსუ საერთაშორისო ურთიერთობების აფელირებული პროფესორი ომარ არდაშელია

- კვლევითი კომპონენტიდან ამოღებულ იქნა კოლოქვიუმი და 120 ECTS კრედიტი სრულად დაეთმო სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
- ამჟამად ამ პროგრამაზე სხვადასხვა სემესტრებში სწავლობს 22 დოქტორანტი.
- წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში, ძირითადად, დასაქმებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფელირებული აკადემიური პერსონალი (CV თან ერთვის). ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია საშუალოდ 5 დოქტორანტის მიღება.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **აღწერა და შეფასება**<br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენაში (B2 დონის გამოცდები ინგლისურში/გერმანულში/ფრანგულში, ან წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს დასახელებულ უცხო ენაში) და სპეციალობაში. პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის მიზნებში აღნიშნული აქვთ შემდეგი: „პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი მკვლევარი-ისტორიკოსების მომზადებას, რომლებიც წარმატებით იმოღვაწებენ, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ისე საგანმანათლებლო სივრცეში; ასევე შეძლებენ კრიტიკულად გაანალიზონ, შეაფასონ და დაიცვან დაგროვილი იდეები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული თეორიული კურსები და პრაქტიკული კომპონენტი." გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის დასახული მიზნის მიღწევას. რაც შეეხება პროგრამაში აღნიშნულ დასაქმების სფეროებს, მითითებულია სკოლა. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სკოლებში დასაქმება შესაძლებელია „მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი" საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ, ეს ჩანაწერი პროგრამაში უნდა დაკორექტირდეს.<br>სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• უნივერსიტეტის მისია<br>• სადოქტორო პროგრამა, სტრუქტურა – იხილეთ დანართებში N01 ფოლდერში<br>• სილაბუსები – იხილეთ დანართებში N 01 ფოლდერში - პროგრამა და სილაბუსები<br>• პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიში (იხილეთ ფოლდერი N 08 |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• უმჯობესია, რომ დასაქმების სფეროს ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას სკოლა. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სკოლებში დასაქმება შესაძლებელია |

„მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი“ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ, ეს ჩანაწერი პროგრამაში უნდა დაკორექტირდეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისთვის საქართველოს ისტორიაში ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის და დარგისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მიცემაზე განვითარებაზე. შესაბამისად, როგორც წესი, კურდამთავრებულს შეუძლია როგორც დარგისთვის დამახასიათებლი ფართო და მრავალმხრივი საკვლევი პრობლემატიკის ანალიზი, ასევე ახალი საკითხების და თემატიკის იდენტიფიცირება.

პროგრამას აქვს ექვსი სწავლის შედეგი: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ზოგადი ტრანსფერული უნარები: დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. სწავლის შედეგები ლოგიკური, მიღწევადი და გაზომვადია.

პროგრამაში გათვალისწინებულია მექანიზმები სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით: სწავლის შედეგების გაუმჯობესებითვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება იწყება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან, კონკრეტულად იმ საგნების ციკლში, რომელსაც მისაღწევ სამიზნე ნიშნულებში პრობლმები გააჩნია; გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებაზე მუშაობს პროგრამის შეფასების ჯგუფი; შეფასების ჯგუფის მიერ ვლინდება კონკრეტული პრობლემები სამიზნე ნიშნულების მიღწევადობასთან დაკავშირებით; გამოვლენილი პრობლემების მიხედვით, პროგრამის შეფასების ჯგუფი შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, პირველ სემესტრში გათვალისწინებულია შემდეგი სასწავლო კურსები: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, „აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“, „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XV ს. ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ

ჭრილში“, „საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები უძველესი დროიდან XIX ს. I ნახევრის ჩათვლით“, „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“, მეორე სემესტრში - „პროფესორის ასისტენტობა“, „სემინარი1“, „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XVI-XXI ს. დამდეგი. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“, „თანამედროვე აფხაზეთის ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახე უძველესი დროიდან XX ს. მიწურულამდე“, მესამე სემესტრში გათვალისწინებულია „სემინარი2“. მეორე სემესტრში გათვალისწინებულია 9 კრედიტის არჩევითი სასწავლო კურსები.
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სადისერტაციო ნაშრომისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება მეორე სემესტრში. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
სტუდენტებისთვის სწავლების მეორე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესორის ასისტენტობა, რომელიც გულისხმობს ერთი ლექციის მომზადებასა და ჩატარებას. ამასთან ცალკეულ შემთხვევებში სასწავლო კურსის განმახორციელებლები დოქტორანტებს იყენებენ სტუდენტთა ნაშრომების გასწორებისას. სტუდენტებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სასურველია თუ გაიზრდება სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა.
ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის“ წარმომადგენელს. გაირკვა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დღემდე წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის პოტენციურ დამსაქმებელს. უნივერსიტეტის არცერთი კურსდამთავრებული ჯერ-ჯერობით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არ დასაქმებულა.
პროგრამის ერთი კურსდამთავრებული მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამჟამად ჩართულია საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაში. მეორე კურსდამთავრებული მუშაობს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, არის ფაკულტეტის დეკანი, მესამე კურსდამთავრებულიც პროფესიით არის დასაქმებული.
ექსპერტები შეხვდნენ მხოლოდ ერთ კურსდამთავრებულს, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტშია დასაქმებული.
როგორც ზემოთად აღინიშნა, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს თეორიულთან ერთად პრაქტიკული ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები შრომის ბაზარზე და შეძლოს პროფესიით დასაქმება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მისია / sou.edu.ge/ჩვენს შესახებ/მისია
- სადოქტორო პროგრამა, სტრუქტურა პროგრამა და სილაბუსები– იხილეთ დანართებში N01 ფოლდერში
- პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიში – იხილეთ ფოლდერი N 08

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებლები გაეცნონ პროგრამას, რათა მათი რჩევები სათანადოდ გაითვალისწინონ პროგრამის ხელმძღვანელებმა
- სასურველია ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მოხდეს დამსაქმებელ ორგანიზაციათა რაოდენობის გაზრდა და დივერსიფიკაცია.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უსდ-ს მიერ განსაზღვრულია საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მათ შორის,<br>• მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ისტორიაში, აგრეთვე ნებისმიერ სხვა მეცნიერებებში;<br>• უცხო ენის B-2 დონეზე ცოდნის დადასტურება – გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში (ინგლისური/გერმანული/ფრანგული), რომელიც ორგანიზებულია სსუ-ს |

| |
|---|
| საგამოცდო ცენტრის მიერ ან B-2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა<br>• საქართველოს ისტორიის პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა (ჩატარდება გამოცდა ფაკულტეტზე შექმნილ დარგობრივ კომისიასთან (საკითხების ნუსხა იხ. /http://sou.edu.ge/);<br>• სამოტივაციო წერილის წარმოდგენა, რომელშიც წარმოჩენილი იქნება დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ინტერესების სფერო, დასაბუთებული იქნება, თუ რატომ სურს კონკურსანტს აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;<br>• უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით;<br>• სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.<br><br>გარდა ამისა, აპლიკანტმა სასურველია წარმოადგინოს: სამეცნიერო პროექტი; თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის, სტუდენტთა) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე აპლიკანტს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• გამოკითხვის შედეგები<br>• პროგრამა და სილაბუსები - ფოლდერი N01<br>• დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი - ფოლდერი N 020<br>• სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა ასახული პროგრამაში - ფოლდერი N 01<br>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პდფ ფაილი N029<br>• აკადემიური საბჭოს დადგენილებები. იხილეთ sou.edu.ge<br>• სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია - ფოლდერი N 07 |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>ბოლო აკრედიტაციის (2018 წ. 25 აპრილი) შემდეგ გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რეკომენდაცია აპლიკანტის მიერ სამოტივაციო წერილის წარმოდგენის შესახებ (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით);<br><br>• პროგრამაში მიღების წინაპირობებში უცხო ენაში მისაღები გამოცდის ჩატარების კუთხით, წინა პროგრამაში შეთავაზებული 4 უცხო ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ამოღებულ იქნა რუსული ენა;<br>• პროგრამაში მიღების წინაპირობებში ასევე გასაუბრება სპეციალობაში შეიცვალა გამოცდით; |

- გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე რეკომენდაცია აპლიკანტის მიერ სამოტივაციო წერილის წარმოდგენის შესახებ (სასურველია სამეცნიერო პროექტის ელემენტებით);

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან შედგება. 60 კრედიტი განკუთვნილია საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. აქედან დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 30 კრედიტს, დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები – 9 კრედიტს, რომლის ფარგლებში შეთავაზებულია 24 კრედიტი (5 სასწავლო კურსი). გათვალისწინებული არჩევითობის პრინციპი. დანარჩენი 21 კრედიტი ნაწილდება პროფესორის ასისტენტობაზე (3 კრედიტი), სემინარზე (6 კრედიტი), სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (6 კრედიტი) და აკადემიურ წერაზე კვლევის მეთოდების კომპონენტებით (6 კრედიტი). სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული 120 კრედიტი. სწავლება იწყება მე-2 სემესტრიდან და მთავრდება მე-6 სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვით.

პროგრამის სტრუქტურული ელემენტები, ზოგადი თუ მაპროფილერებელი კურსების ბადე და კვლევითი კომპონენტი ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან და დოქტორანტისთვის შესაბამისი კვლაფიკაციის და კომპეტენციების მისაღებად ადეკვატურ სასწავლო აკადემიურ პირობებს ქმნის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამა - ფოლდერი N01
- სასწავლო კურსების სილაბუსები - ფოლდერი N01
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - ფაილი N 029
- აკადემიური საბჭოს დადგენილებები: იხილეთ უნივერსიტეტის საიტი sou.edu.ge
- სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია - ფოლდერი N07
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი - ფოლდერი N020

**რეკომენდაციები:**

- სემინარი 2-ს წინაპირობად განისაზღვროს სემინარი 1

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი, ზოგადი კომპეტენციების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კურსები და აქტივობები ფარავს: სწავლების თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური წერას კვლევის მეთოდების კომპონენტებით, პროფესორის ასისტენტობას, ორ სემინარს პროგრამის განხორციელების განმავლობაში.

დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი კურსების ერთობლიობა დოქტორანტს საშუალებას აძლევს შეიძინოს და გაიმყაროს ფუნდამენტური (ემპირიული და თეორიული) ცოდნა საქართველოს ისტორიის ყველა საკვანძო მოვლენაზე, საკითხებზე და პერიოდზე (განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აფხაზეთის ისტორიის შესწავლაზეც) და ამასთან ღრმად გაიაზროს დარგის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები და  მიმდინარე ტენდენციები.

დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები მიზნად ისახავს, პირველ რიგში, საქართველოს უძველესი ისტორიის, უძველესი დროიდან დღემდე,  განმსაზღვრელ, ძირითად პრობლემებზე ღრმა ცოდნის მიცემას და გამყარებას. ასევე პროგრამის მიზნები და შედეგები ითვალისწინებს საქართველოს ისტორიის წყაროების (დოკუმენტური  წყაროები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.) ფართო და მრავალმხრივ შესწავლას და  მათი კვლევის პროცესში გამოყენების უნარის განვითარებას.

ასევე, ყურადღება ექცევა საქართველოს და ქართველების ისტორიას რეგიონალურ თუ საერთაშორისო კონტექსტში (მაგალითად, ისტორიული ოსმალეთის და სპარსეთის, 20-21-საუკუნეთა მიჯნაზე კავკასიაში, რუსეთში  და გლობალურად მიმდინარე პროცესების ჭრილში).

მთლიანობაში,  საქართველოს ისტორიის  სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის

შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსებით განსაზღრული სასწავლო რესურსები (სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული, ელექტრონული ბაზები და მასალა) ასახავს საქართველოს ისტორიოგრაფიის თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კვლევითი აქტივობის კუთხით, სადოქტორო პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი სადისერტაციო ნაშრომის კომპონენტები (დისერტაციის თემა, მიზნები, შედეგები და ა.შ.), მათი შესრულების ინსტრუქციები და შეფასების სისტემა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა და სილაბუსები - იხილეთ N01 ფოლდერი:
- სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა - იხილეთ პროგრამა ფოლდერი N01.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - ფაილი N 029
- აკადემიური საბჭოს დადგენილებები - sou.edu.ge
- სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია - ფოლდერი N 07
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი - ფოლდერი N 020

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურსის - *საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროები. უძველესი დროიდან XIX ს. I ნახევრის ჩათვლით* სილაბუსი საჭიროებს გარკვეულ რედაქტირებას. 1. კურსის ფარგლებში დოკუმენტების მიმოხილვა იწყება მე-11 საკუნიდან. შესაბამისად, სასურველია კურსის დასახელება მოვიდეს საკითხებთან შესაბამისობაში და უძველესი დროის ნაცვლად მიეთითოს ის პერიოდი, რომელსაც კურსი რეალურად ფარავს. 2. კურსის ძირითად ლიტერატურდ განსაზღვრულია საქართველოს ისტორიის ნარკვევები, მაშინ როცა დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რიგი მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა. სწავლების საფეხურიდან გამომდინარე, რომელიც პროგრამის მონაწილის კვლევითი უნარის რეალიზაციაზე არის ორიენტირებული, სწორედ სამეცნიერო რესურსის ეს უკანასკნელი კატეგორია უნდა იყოს ძირითადი სამუშაო მასალა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნარკვევებს და მსგავს შემაჯამებელ გამოცემებს, ისინი სწორედ დამატებით რესურსებად უნდა განიხილებოდეს, რომელიც შეიძლება დოქტორანტ-მკვლევარს გარკვეული, ზოგადი საორიენტაციო მიზნებით, გამოადგეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გადამუშავდა *„სწავლების თანამედროვე მეთოდებისა“* და სასწავლო კურსის *„აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით“* სილაბუსები და ისინი მაქსიმალურად მიესადაგა დოქტორანტურის დონეს.

- გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია სწავლების II სემესტრში გაწერილი 2 სასწავლო კურსის (*„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIII-XVIII საუკუნეები. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“* და *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XIX-XXI ს. დამდეგი. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“* ) ერთ საგნად გაერთიანების შესახებ, რომლის წინაპირობა იქნება I სემესტრში გავლილი საგანი: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“*. ამასთან მოხდა ქრონოლოგიური ჩარჩოების კორექტირებაც – I სემესტრის საგნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი იქნება არა XIII ს. დამდეგი, არამედ XV ს. მიწურული, შესაბამისად II სემესტრში დაგეგმილი სასწავლო კურსის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარმა გადაიწია XVI ს. დამდეგზე. ანუ I სემესტრში დოქტორანტები გაივლიან სასწავლო კურსს: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XV საუკუნის ჩათვლით. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“*, II სემესტრში კი სასწავლო კურსს: *„საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. XVI- XXI საუკუნის დამდეგი. ისტორიოგრაფიულ ჭრილში“*.
- არჩევითი სასწავლო კურსები შეივსო 3 ახალი დისციპლინით:
- *„ანტიკური წერილობითი მემკვიდრეობა საქართველოს შესახებ“* (სსუ აფილირებული ასოცირებული პროფესორი კახაბერ ფიფია)
- *„ქართველები აღმოსავლეთის ქვეყნების (ოსმალეთი, სპარსეთი) სამხედრო პოლირიკურ ასპარეზზე გვიან შუა საუკუნეებში“* (სსუ აფილირებული ასოცირებული პროფესორი კახა კვაშილავა – სსუ საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული);
- საქართველო და სამხრეთ კავკასიის მეზობელი სახელმწიფოები XX – XXI სს. დამდეგს. სსუ საერთაშორისო ურთიერთობების აფელირებული პროფესორი ომარ არდაშელია
- კვლევითი კომპონენტიდან ამოღებულ იქნა კოლოქვიუმი და 120 ECTS კრედიტი სრულად დაეთმო სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველის ისტორიის სადოქტორო პროგრამა, სწავლების საფეხურის შესაბამისად, მიზნად ისახავს დოქტორანტის მიერ ორიგნალური კვლევის, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას და მომზადებას. ნაშრომისთვის წაყენებულ უმთავრეს მოთხოვნათა შორის აღსანიშნავია, რომ დისერტაცია უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. „დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას“.

კვლევითი კომპონენტის გარდა, პროგრამით განსაზღვრულია პრაქტიკული და ტრანფერული უნარების განვითარება. დოქტორანტი ამ მიმართულებით მუშაობას იწყებს ზოგადი კომპეტენციების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კურსების ფარგლებში. ამასთან, ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში, კონფერენციებში და სხვა ტიპის აქტივობებში, რომლებიც მათი ცოდნის და უნარ-ჩვევების რეალურ სიტუაციებში გამოყენებას უწყობს ხელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა და სილაბუსები - ფოლდერი N01
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების მეთოდოლოგია - ფოლდერი N07
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები - ფოლდერი N010 -
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - პდფ ფაილი N 029
- აკადემიური საბჭოს დადგენილებები - sou.edu.ge
- სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია - ფოლდერი N07
- დოქტორანტის მინიმალური სტანდარტი - ფოლდერი N 020.
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ცალკე, არჩევითი კურსის სახით, ისწავლებოდეს სამეცნიერო პროექტების შედგენის წესების და ტექნიკის პრაქტიკული კურსი. მსგავსი ტიპის უნარების განვითარება გაზრდიდა სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში დოქტორანტების წარმატებით მონაწილეობის შანსებს. ეს ყველაფერი კი დამატებით შეუწყობს ხელს მათი სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

| |
|---|
